# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—ოთხშაბათი, 27 სექტემბერი 1900 წ. № 1251

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—**6** მან., თვეში—**75** კაპ., ცალკე ნომერი—**3** კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—**10** კ. მეოთხეზე—**5** კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**


## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 26 სექტემბერს, ტფილისის სპარსელთა კოლონია დღესასწაულობდა **სპარსეთის შაჰის მუზაფერ-ედდინის დღეობას**. სპარსეთის ტფილისელს კონსულს მიულოცეს, როგორც სპარსელებმა, ისე ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებმაც. დღისით სპარსელების სახლები მორთული იყო ბაირაღებითა და ხალიჩებით, საღამოს—გაჩირაღდნებული.

✦ **სპარსეთის შაჰს მუზაფერ-ედდინს** 5 ოქტომბერს მოელიან ბაქოში. იქ შაჰი ორ დღეს დაჰყოფს და შემდეგ დაბრუნდება სპარსეთში, საიდანაც უკვე ოთხი თვეა წამოსულია ევროპაში სამოგზაუროდ.

✦ გუშინ, 26 სექტემბერს, შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსდა შორაპნის მაზრაში, სოფელ საქარაში, **ამერიკული ვაზის სანერგე**. სამიწადმოქმედო სამინისტროს სხვა-და-სხვა დაწესებულებათა შორის ამ სანერგემ საუკეთესო სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას და ამიტომ მივულოცავთ მას და მისს მოღვაწეთ ათის წლის არსებობის დღეს.

✦ რადგანაც ფოთის ნავთსადგური გადიდებული და გაკეთებული იქმნება, ამიტომ ქალაქის თვითმმართველობამ გადასწყვიტა გააუმჯობესოს ნავთ-სადგურისაკენ მიმავალი გზები. სულ ამ გზებისა და ქალაქის ქუჩების გაკეთება და მდ. რიონზე არსებულ ხიდების რემონტი დაჯდება 251.510 მანათი და 76 კაპ.. გარდა ამისა, ყოველ-წლივ დასჭირდება ამ გზებს და ქუჩებს—21.304 მან.. ყველა ეს ხარჯი ქალაქს ჰსურს დაჰფაროს იმ ფულიდან, რომელიც შემოდის ნავთ-სადგურიდან გატანილ საქონელზედ არსებულ გადასახადიდან, რის შესახებაც უკვე შუამდგომლობაც არის აღძრული.

✦ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას გორის მაზრის სოფლები—სოხო, ნაზრიჩინა, აბანო, დარიჩინა, კოტანტო და ხიხიტა—მიუწერია **გეშუდის სოფლის საზოგადოებისათვის**, ჯაეის სოფლის საზოგადოების მაგიერ.

---

## თეატრი

**ოპერა.** 25 სექტემბერს სახაზინო თეატრის სცენაზე მეორედ წარმოადგინეს ჩაიკოვსკის ოპერა «ევგენი ონეგინი». ამ წარმოდგენაში როლები სხვა რიგად იყო დანაწილებული. სახელდობრ: ტატიანას როლი აასრულა ქ-ნმა პაპაიანმა, ონეგინისა კი ბ-ნმა ლოდიმ. ქ-ნ პაპაიანის შესახებ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგანაც ეს არტისტი-ქალი პირველად არ ასრულებს ამ როლს ტფილისში და პირველი არ არის, რომ მის სიმღერისა და თამაშისაგან აღტაცებაში მოსულა ტფილისის საზოგადოება. საზოგადოების ყურადღება ამ წარმოდგენაში მიიქცია ბ-ნ ლოდის სიმღერამ და თამაშმა ონეგინის როლში. ტფილისის საზოგადოებას უნახავს სცენაზე ბევრი კარგი აღმსრულებელი ონეგინის როლისა; ამ ზაფხულში-კი იგი გაიტაცა სამაგალითო აღსრულებამ ბ-ნ იაკოვლევისამ, რომელიც მთელს რუსეთში საუკეთესო აზრით ითვლება საუკეთესო ონეგინად. ამიტომ საზოგადოება ბევრს თხოულობს არტისტისაგან, რომელიც გამოდის ტფ. სცენაზე ონეგინის როლში. სამწუხაროდ, ბ-ნმა ლოდიმ ვერ დააკმაყოფილა არა-თუ საზოგადოების სასტიკი მოთხოვნა, არამედ ზოგიერთების მცირედი მოლოდინიც: იგი სუსტი იყო როგორც მომღერალი და როგორც აქტიორი. უკვე მეორე მოქმედებიდან არტისტის ხმას დაღალვამოქანცულობა შეეტყო, ხოლო უკანასკნელ ორ სურათში ის აღარც მღეროდა, მისი სიმღერა უფრო ლაპარაკს წააგავდა. ბ-ნი ლოდი ვერ ჰბედავს, მაღალი ნოტა თავისუფლად და გაბედვით იმღეროს, ასე რომ არიების ასრულება ხშირად იწვევდა სიბრალულის ღიმილს მსმენელთა ბაგეზედ. შესაბრალისი იყო ქ-ნი პაპაიანისა, რომ მის პარტნიორად ასეთის მოღლილის ხმის პატრონი იყო, როგორიც ბ-ნი ლოდი არის. საოპერო დასში სრულიად არ არის ლირიკული ბარიტონი, რითაც, ალბად, აიხსნება ბ-ნ ლოდის უფერული დებიუტები.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**25 სექტემბერი**

**პეტერბურგი.** მუკდენის დასაპყრობლად დანიშნული ჯარები, 11 ბატალიონი, 40 ზარბაზნით და ორასი ყაზახით, და 400 კაცი დამცველი ჯარისა, გენერალ-ლეიტენანტის სუბბოტინის უფროსობით შეგროვდნენ ინკოუ-ხაიჩენის მხარეზე. 11 სექტემბერს ჩვენმა ჯარმა დაიწყო მოქმედება და დაიპყრო ძველი ნიუჩუანგი. 18 სექტემბერს ჩვენი ჯარები შევიდნენ მუკდენში. მათ სუსტი წინააღმდეგობა გაუწია მცირე რაზმმა, რომელიც მუკდენში დარჩა მუკდენის ჯარის გაქცევის შემდეგ, იმ ჯარის, რომელიც დამარცხებულ იქმნა სადგურ შახთან 14 სექტემბერს. ქალაქი გაძარცულია და გადამწვარი ჩინეთის ჯარისაგან. ცეცხლი, როგორც იყო ჩააქრეს და წესიერება აღადგინეს. ნაწილი მცხოვრებლებისა უვნებლად დარჩა. ჩვენ ჯარს ხელში ჩაუვარდა ბევრი ახალი ზარბაზნები და დიდძალი სამხრო სურსათი. ჯარი ჯანსაღად და მამაცად არის.

**რეველი.** იახტა „ზარნიცა“, რომელზედაც იმყოფებიან ხელმწიფე მემკვიდრე და საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოოზი, წავიდა დანიაში.

**ტიან-ძინი.** პაოტინფუში შეხიზნული უცხოელნი უარს ამბობენ ქალაქიდან წასვლაზედ, რადგანაც ვერ ენდობიან ჩინელ დამცველს ჯარს.

გერმანელთა რაზმი, 500 კაცისა და ორი ზარბაზნისაგან შემდგარი, გაგზავნილი ჩინხაისიენისაკენ მიდამოების დასაზვერავად და პაოტინფუში წასასვლელ ექსპედიციისათვის საჭირო პოვოზკების და ჯორების საშოვნელად, დაბრუნდა ოთხი დღის შემდეგ. რაზმი იყო ცინხაისიენის იქით შვიდი მილის მანძილზე და ნახა იქ მრავალი მომხრე „დიდი მუშტისა“. ორი ჯარის-კაცი, რომლებიც დასცილდნენ ბანაკს, მძიმედ დასჭრეს მეამბოხეებმა. იაპონიის ერთი მუში სულ მთლად აკუწეს. პაოტინფუში მიმავალი ექსპედიცია, უეჭველია, გაივლის ცინხაისიენზე. ექსპედიცია, უეჭველია, გაემგზავრება ორ შაბათს ან სამშაბათს. ჩინეთის წყაროებიდან იუწყებიან, რომ პაოტინფუდან ჯარი და მცხოვრებლები გაიქცნენ. ქალაქი და მისავალი გზა დაიჭირა „დიდი მუშტი“-ს ბრბომ. ჰფიქრობენ, რომ ისინი გაიფანტებიან, როდესაც შეიტყობენ ჯარის მიახლოვებას.

**ლეიდენბურგი.** უკანასკნელ ხუთ დღეს გენერალი ბულლერი შეუფერხებლად მოდიოდა წინ მაკმანის გორებით და პილგრიმსრესტის და კრიუგერსპოსტის ხეობით, გზა და გზა სდევნიდა მტერს. ამ ჟამად ბულლერი იმყოფება ობრისგტადტთან.

**შანჰაი.** სარწმუნო წყაროს ცნობებით, ბრიტანიის სამხედრო გემი „ვოოდკოვ“-ი დღეს გავიდა ხანკოუში მდინარე ხანზე თვალყურის დასაჭერად; ამბობენ, ვითომც ამ მინდობილებას კავშირი აქვს იმ მოლოდინთან, რომ იქნება როგორმე შეპყრონ ხელმწიფის უჯახობა.

ბრიტანიის გემი „ვოოდარკი“ მიდის სიმაგრე ციანშინში მოსულთა დასათვალიერებლად და მათზე თვალყურის დასაჭერად.

**ჰონკონგი.** გუშინ ათასამდე მეამბოხე დაეცა საბაზრო ადგილს სეივანს, რომელიც მდებარეობს სალჩუნიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ რვა მილის მანძილზე, ბრიტანიის ტერიტორიაზე. მეამბოხენი უკუქცეულ იქმნენ. ერთი როტა იმპერატორის მუდმივ ჯარისა, როგორც ხმა ისმის, მიდის სანჩუნზე, და დღეს მოელიან აქ თავდასხმას. საზღვარზე პოლიცია გაძლიერებულია და შეიარაღებული მაქსიმეს სისტემის თოფებით; გარდა ამისა, ჯარებიც მზად არის ყოველის შემთხვევისათვის; ჰფიქრობენ, რომ ნახსენები აჯანყებულნი ეკუთვნიან საიდუმლო საზოგადოებებს. როგორც ჩადჩუნიდან მოსულ ამბებიდან სჩანს, იქ ჯერ კიდევ მშვიდობიანობაა, თუმცა დუქნები დაკეტილია,

**შანჰაი.** შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ჩინელები თავს დაესხნენ შანჰაის. 8000 ჩინელი ჯარის კაცი მოდის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წყლის დიდის არხით აქ მყოფ ჯარებთან შესაერთებლად. გენერალი გეზლი დაბრუნდა პეკინში. ყველა ინგლისელ ჯარებს, გარდა ვეი-ხაი-ვეის პოლკისა, ებრძანა მოემზადონ საზამთროდ; ვეიხაივეის პოლკი კი დაბრუნდება ვეიხაივეიში. რუსის ჯარების უმთავრესი ნაყილი უკვე წავიდა აქედან. ბევრი სურსათით დატვირთული გემი მიდის პეკინისაკენ და რადგანაც ეს სურსათი იაპონელ ჯარებისათვის არის, ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ამ ზამთარ პეკინში დარჩებიან. რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივაც იაპონელ ზღვაოსანთა რაზმები სდგანან. საფრანგეთის ჯარის ერთი ნაწილი სტოვებს პეკინს.

**შანჰაი.** უკანასკნელის განკარგულებით დანიშნულნი თანამდებობის პირნი არიან იმავე მიმართულებისა, როგორიც პეკინის ჯარების ყოფილი უფროსები და კანონიერის მემკვიდრის მამა. ერთმა მანდარინმა, რომელიც პრინც ტუანთან ერთად დათხოვნილ იყო სამსახურიდან, ისევ დიდი ადგილი მიიღო. ჩინელები მხნედ ამზადებენ იარაღსა და სხვა საომარ მასალას.

**პეკინი.** დედოფლის ცდამ ტაი-ენფუში მთავრობის დაარსების შესახებ ფუჭად ჩაიარა. მან უბრძანა ყველა მანდარინებს, რომელთაც წინეთ პეკინში ჰქონათ ადგილები, წასულიყვნენ იქ, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა. ზოგმა ვითომც ავადმყოფობის მიზეზით და ზოგმაც იმიტომ, რომ შეუძლებელია, უცხოელ ჯარებს გამოეპაროთო.

**შანჰაი.** ხუსიტანჯუ, დისწული დედოფლისა, იმპერატორისაგან 1898 წელს თანამდებობიდან გადაყენებული, დაინიშნა ცუნგ-ლი-იამენში ტუანის მაგივრად და გენერალისსიმუსად იუნ-ლუს მაგივრად.

**ეკატერინოსლავი.** 23 სექტემბერს, ღამით, გაცარცვეს პავლოგროდსკის მაზრის ნოვოივანოვოს სასოფლო სამმართველო, მოუკლავთ შვიდი კაცი: სოფლის მწერალი, სამი მისი თანაშემწე, დარაჯი და გზირი თავისი ცოლით. რამდენი ფული წაიღეს, ჯერ არ იციან.

**კიევი.** გუშინ აქ მოვიდა ოდესიდან ბეჭდვითი საქმის უმთავრესი სამმართველოს უფროსი თავადი შახოვსკოი ადგილობრივი საცენზურო დაწესებულებათა სარევიზიოდ. ხვალ თ. შახოვსკოი განაგრძობს გზას.

### 26 სექტემბერი

**პსკოვი.** კვირას ნიკანდროვის უდაბნოში, პოროხოვის მაზრა, დღესასწაულის გამო უდაბნოში შეგროვდა 5000 მლოცავი. ღამეს ათევდნენ მონასტრის ორ სართულიან სასტუმროში, სადაც ღამეს ათევდნენ მლოცავები ზემო სართული და მოიტანა შიგ მყოფნი. ქვემო სართულში ჩოჩქოლი შეუდგათ. როცა შენიშნეს მონასტრის ეზოში მყოფთ, დაუძახეს ცეცხლისმქრობლებს. ღამის მთევლები ეცნენ ერთად-ერთ გამოსავალ კიბეს. ხალხი აირია, ერთმანერთს აწვებოდნენ და ამ დროს გასრისეს სასიკვდილოდ 4 მამა-კაცი და 36 დედა-კაცი. დაშავებულია 15 კაცი, მათგან 4 მძიმედ. ამ ამბის გამოსაძიებლად უდაბნოში მოვიდა მთავრობა.

**პეტერბურგი.** გუშინ სამეცნიერო აკადემიამ მიუსაჯა უვაროვის 500 მანეთიანი პრემია შემდეგ პირებს: ბორსუკოვს „შერემეტიევების გვარეულობისთვის, ყაზანის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს შემდეგის წიგნისთვის" დასავლეთრუსეთის მართ-მადიდებელთა სკოლები მე-16 და 18 საუკუნეში", ეინგორნს, ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორს კოჩუბინსკის და სხვათა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." მიულია ცნობა აქაურ იაპონიის საელჩოსაგან იმის შესახებ, რომ შანჰაიგუანის აღებაში იაპონიის მხრივთ მონაწილეობას იღებდა 120 კაცი დესანტის ჯარისა. წინდაწინვე მოლაპარაკების თანახმად ქალაქის ჩრდილოეთის კარები დაიჭირეს ფრანგებმა და ინგლისელებმა, აღმოსავლეთის—რუსებმა, სამხრეთის—გერმანელებმა და დასავლეთის — იაპონელებმა და იტალიელებმა. იაპონელები იცავენ აგრეთვე მეორე და მეხუთე სიმაგრეებ შუა მოთასებულ ელექტრონით განათების სახელოსნოებს.

**ვაშინგტონი.** ვუტინფანმა შეატყობინა გეის, რომ მიიღო სამხრეთ პროვინციების მმართველთაგან ცნობა—იმპერატორის სახლობა იმყოფება სინანფუს გზაზე, სადაც აშენებენ იმპერატორისათვის სასახლესო.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ტუნფუძიანი გაიქცა შანსის პროვინციაში, რადგანაც ეშინოდა დასჯისა. აშკარად ემჩნევა, რომ ჩინეთის მთავრობა ზომებს ხმარობს, რა ა გაჰფანტოს „დიდი მუშტის" ბრბო. ჩინეთის ჯარი ორშაბათს გამოჩნდა ბუდაჩუს ახლო. ტიანძინის მართველის თანამდებობის აღმასრულებელმა გამოაცხადა, რომ ბრძანება გამოუციათ „დიდი მუშტის" მოსასპობლად, იგი იმავე დროს აცხადებს, რომ არა ჰგზავნის ჯარებს რადგანაც იქ იმყოფებიან მოკავშირენი. „დიდ მუშტს" წყლის არხზე აქვს შეიარაღებული კონონერკები რათა დაიცვას პაოტინფუ, საითკენაც მიემგზავრება ექსპედიცია.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | გ. | $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 5 კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 კ |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ » |
| » » | III | » | » | 3 » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » | » | 6 « |
| » » | II | » | » | 4 » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ვოკზალზე:

| | | |
|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | | მ. კ. მ. კ.. |
| | 1 | 1 30 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 კაპ. |
| ქერი . . . . . | 1 | —მ. —70 კ |
| სიმინდი . . . . | 1 | — — 65 — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 —20— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 5110— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 50—— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 55—— |
| ხახვი . . . . . | 1 | — 30—— |
| თივა . . . . . | 1 | — 25 —— |
| ბზე. . . . . . | 1 | — 23—— |

შუშა რძხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარჩევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ,

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მის თანა დასწრებით, 29 სექტემბერს, 1900 წ., შუადღის 12 საათზე,

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით უსუფთაობის მილის გაყვანა ანდრეევის ქუჩაზედ (ვოკზალის და ბატარეინის ქუჩებ შუა) მე-10 ნაწილში, ღირებულობით—1500 მან.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მის თანა, დასწრებით, 29 სექტემბერს, 1900 წ., შუადღის 12 საათზე,

დანიშნულია საჯარო

**ვაჭრობა,**

რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით უსუფთაობის და ქუჩის გამოსაშრობლად საჭირო მილების გაყვანა მაზუფის ქუჩაზედ, პოლიციის მე-10 ნაწილში, ღირებულობით—980 მანათისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილის დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—2)

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Сентября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.